თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №53

30 ნოემბერი, 2018 წელი
ქ. თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა წლიური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების“ თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის N319 დადგენილების საფუძველზე

მუხლი 1.

დამტკიცდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა წლიური სასწავლო გეგმა თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გოჩა თედორაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი

თვითმმართველი ერთეულის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2019 წლის გეგმა

ქვემო ქართლის რეგიონი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

N	სწავლების სფერო	მოხელეთა რაოდენობა	სწავლების ფორმა	სწავლების პერიოდი/ კვარტალი	შესასწავლი საკითხები აღნიშნულ სწავლების სფეროში	დაფინანსება ბიუჯეტიდან (ლარი)
1	ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი რეგულირება	4	მოკლევადიანი ტრენინგი;	I-II კვარტალი	სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები; აქტის მომზადება; სამართლებრივი აქტის მომზადების ტექნიკა	2000
2	მუნიციპალიტეტის სივრცით - ტერიტორიული დაგეგმვა	7	მოკლევადიანი ტრენინგი;	II კვარტალი	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ინსტიტუციური სისტემა, მეთოდოლოგია, თანამონაწილეობა, მონიტორინგი, დოკუმენტების პრაქტიკაში გამოყენება, ტიპები და იერარქია; დაგეგმარების არსებული პრაქტიკა და ახალი ტენდენციები; დაგეგმარების საწყისი და საბაზისო მონაცემების ხარისხობრივი მახასიათბლები და საყრდენი გეგმა; გეგმარებითი დავალება, ფაზები, განმახორციელებლები, საჯაროობა და დამტკიცება; ზონირება; ქალაქის განვითარების დაგეგმვა.	2500
3	სამხედრო გაწვევის საკითხები	5	მოკლევადიანი ტრენინგი;	II - III კვარტალი	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის საკითხების სამართლებრივი რეგულირება	2000
4	ფინანსური მართვა და ბუღალტერია	5	მოკლევადიანი ტრენინგი;	III-IV კვარტალი	საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება; ფინანსური აღრიცხვა ქონებასთან მიმართებაში. ნაერთი ბალანსი:	2500
5	მშენებლობის ნებართვის გაცემა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება	5	მოკლევადიანი ტრენინგი;	II –III კვარტალი	სამშენებლო ნებართვების, გარე ვაჭრობის, გარე რეკლამის, ადმინისტრაციული აქტების აღსრულების, ჯარიმების და	2500

					სხვა კონტროლი; სამშენებლო დოკუმენტის დასაშვები ცვლილება და სამშენებლო, დოკუმენტის დარღვევა, სამშენებლო დოკუმენტში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება, მშენებლობის კონსერვაცია, სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის სახეები	
6	ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და საგზაო მოძრაობის ორგანიზება	4	მოკლევადიანი ტრენინგი;	II-III კვარტალი	თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი საავტომობილო გზებისა და საგზაო მოზრაობის დაგეგმარება; მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურებისა და ადგილობრივი გადაზიდვების წესები; პარკირების მართვა; ჯარიმების ადმინისტრირება;	2000
7	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	5	მოკლევადიანი ტრენინგი.	III –IV კვარტალი	აგრო-ეკო ტურიზმის განვითარება რეგიონში; ეკო-ტურიზმის მნიშვნელობა ეკ.-ის განვითარებაში; მცირე მეწარმეობა; ინვესტიციის მოზიდვის მექანიზმები.	2000
8	მონაცემების შეგროვების, დამუშავების, ანალიზის მეთოდები და საშუალებები	10	მოკლევადიანი ტრენინგი.	IV კვარტალი	მონაცემთა შეგროვების მეთოდები და სახეები; რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები; საინფორმაციო სისტემის, ბაზების შექმნის მეთოდები და საშუალებები.	2500
9	თვითმმართველი ორგანოების კომპეტენციას დაქვემდებარებულ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლების სამართალდარღვევებზე რეაგირება	7	მოკლევადიანი ტრენინგი.	I –II კვარტალი	თვითმმართველი ორგანოების კომპეტენციას დაქვემდებარებულ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლების სამართალდარღვევებზე რეაგირება; ოქმის შედგენა, უფლებამოსილი პირების განსაზღვრა.	2000
10	მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების მართვა	4	მოკლევადიანი ტრენინგი.	I –II კვარტალი	მყარი და ორგანული ნარჩენების მართვა; ნარჩენების სეპარაცია; ნარჩენების სეპარირებული შეგროვების /გატანის /ტრანსპორტირების ერთანი სისტემა; ნარჩენების გადამუშავება; საპარიფო პოლიტიკა; სახიფათო	1830

					ნარჩენის არსი; გარემოს დაცვა-დასუფთავება; ინფრასტრუქტურა; დონორული დაფინანსების მოძიება; კარგი საზღვარგარეთული პრაქტიკა	
				სულ:		21 830